



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/4134-15

10 თებერვალი, 2016 წელი

თბილისის სააპელაციო სასამართლო
სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე, მომხსენებელი - ქეთევან მესხიშვილი,
მოსამართლეები - ნატალია ნაზლაიძე, გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი – ნ. ჩ..

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა კერძო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით. მითითებული მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების



შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და/ან სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

მოცემულ შემთხვევაში, ნ. ჩ.-მ 2015 წლის 20 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოწინააღმდეგე მხარესთან - ნ. ჯ.-სთან განქორწინება მოითხოვა. ნ. ჩ.-მ მოპასუხის ძირითადი მისამართის გრაფაში შემდეგი მისამართი მიუთითა: ქ. თბილისი, ს.-ს ქუჩა, კორპ. X, ბინა XX (ს.ფ. 1).

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ნ. ჯ.-სთვის ნ. ჩ.-ს სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები სამჯერ გაიგზავნა, 2015 წლის 24 აპრილს, 5 მაისს და 25 მაისს (ს.ფ. 19, 21, 23).

საქმეში წარმოდგენილი სამივე უკუგზავნილით (ს.ფ. 20, 22, 24) დგინდება, რომ ნ. ჯ.-ს გზავნილი არ ჩაბარდა მიმღების სახელში არ ყოფნის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 19 ივნისის განჩინებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს დაევალა ამ განჩინების მისთვის გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ნ. ჩ.-ს სარჩელისა და თანდართული მასალების ნ. ჯ.-სთვის (პირადი XXXXXXXXXXXX) ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრისათვის ჩაბარება, მისამართზე: თბილისი, ს.-ს ქუჩა, კორპ N X, ბინა N XX (ს.ფ. 25-27).

2015 წლის 29 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს, პოლიციის VII განყოფილების, უბნის უფროსმა ინსპექტორ-გამომძიებელმა გ. ნ.-მ მიმართა და აცნობა, რომ მოპასუხე ნ. ჯ.-ს მისამართზე თბილისი, ს.-ს ქუჩა, კორპ. X, ბინა XX სასამართლო გზავნილი ვერ ჩაბარდა, რადგან მოპასუხე მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, მეზობლის განმარტებით ბინა გაყიდა და საზღვარგარეთ წავიდა (ს.ფ. 31-33).

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინებით, ნ. ჩ.-ს (პირადი XXXXXXXXXXXX) სარჩელი მოპასუხე ნ. ჯ.-ს (პირადი XXXXXXXXXXXX) მიმართ განქორწინების შესახებ მოთხოვნით დატოვებულ იქნა განუხილველად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის საფუძველზე, კერძოდ, სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები რამდენჯერმე გაიგზავნა მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულ მოპასუხის ძირითად მისამართზე - თბილისი, ს.-ს ქუჩა, კორპ. X, ბინა XX, მაგრამ ვერ მოხერხდა გზავნილის ადრესატისათვის ჩაბარება (ს.ფ. 34-36).

თბილისის სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს პოზიციას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი საფუძვლების არსებობის თაობაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოპასუხის ძირითადი მისამართი



(ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მათ შორის მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია ზუსტად მიუთითოს მოპასუხის მისამართი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლების სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხის მისამართის არასწორად მითითება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის კონტექსტში და არასწორი მისამართის მითითება ამავე კოდექსის 71-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად, შინაარსობრივი დატვირთვით ერთსა და იმავე ობიექტურად არსებულ ფაქტობრივ გარემოებაზე მეტყველებს – მოსარჩელის მიერ მოპასუხის მისამართის გრაფაში მითითებული მისამართი არასწორია და მოპასუხეს შესაბამისი უწყება აღნიშნულ მისამართზე ვერ ბარდება. ამასთან, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კანონი მოსარჩელეს აკისრებს მოპასუხის ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) მითითების ვალდებულებას. იურიდიული პირების შემთხვევაში, კანონი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (იურიდიული მისამართის) ოფიციალურად ასახვისა და რეგისტრაციის კანონისმიერ ვალდებულებას აწესებს, რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, მათი რეგისტრაციის მისამართი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) შეიძლება არ ემთხვეოდეს ერთმანეთს, ხოლო მოსარჩელე კი კანონის დანაწესიდან გამომდინარე, ვალდებულია მიუთითოს მოპასუხის არა რეგისტრაციის, არამედ ძირითადი მისამართი ანუ ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ამდენად, მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი, კიდევ რომ იგი სარჩელის აღძვრის დროისათვის მოპასუხის რეგისტრაციის მისამართს წარმოადგენდეს, შეიძლება არ ემთხვეოდეს მოპასუხის რეალურ ადგილსამყოფელს. აღნიშნული ობიექტური გარემოებისადმი მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება კი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით, ორ განსხვავებულ შედეგს იძლევა, კერძოდ, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი არასწორია და აღნიშნული



ფაქტის მიმართ მოპასუხე არაკეთილსინდისიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ მან განზრახ არასწორად მიუთითა მოპასუხის მისამართი, მაშინ სასამართლო უფლებამოსილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელი განუხილველად დატოვოს. რაც შეეხება ისეთ ფაქტობრივ ვითარებას, როდესაც მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი, მართალია, არასწორია, მაგრამ მოსარჩელე აღნიშნული ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია ანუ მისთვის უცნობია მოპასუხის ძირითადი მისამართი – ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, ასეთ შემთხვევაში, სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით და უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. რაც შეეხება მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულების შეფასებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის კეთილსინდისიერებისა თუ არაკეთილსინდისიერების ფაქტი მოპასუხის მისამართის ცოდნასთან დაკავშირებით დადგენილ უნდა იქნეს საქმის მასალების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად.

სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხის მისამართისადმი მხარის კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დადგენის შემთხვევაში აღარ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოცემულობა, რომელიც სასამართლოს მიერ სარჩელის განუხილველად დატოვების შესაძლებლობას იძლევა. უფრო მეტიც, აღნიშნული გარემოებების არსებობისას სარჩელის განუხილველად დატოვება ბოროტად შეიძლება იქნას გამოყენებული ვალდებულ პირთა მიერ ვალდებულების შესრულების თავიდან აცილების მიზნით, ხოლო სამართალურთიერთობაში მოთხოვნის უფლების მქონე პირებს კი წაერთმევათ სასამართლო სამართალწარმოების კონსტიტუციური უფლება.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. ჩ.-ს სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული მოსარჩელის მიერ მოპასუხის არაზუსტი მისამართის მითითების საფუძველით. აღნიშნულთან დაკავშირებით პალატას მიაჩნია, რომ ზემოთმითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენების საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის მასალებით აშკარად დასტურდება, რომ მოსარჩელემ თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორად მიუთითა. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ნ. ჩ.-ს სწორად აქვს ნ. ჯ.-ს მისამართი მითითებული, რადგან საფოსტო უკუგზავნილებიდან დგინდება, რომ კურიერს სამი ვიზიტის დროს ნ. ჯ. მისამართზე არ დახვდა, ხოლო თბილისის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს, პოლიციის VII განყოფილების, უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის მომართვის თანახმად, მოპასუხემ ბინა გაყიდა და საზღვარგარეთ წავიდა რაც იმას ადასტურებს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მისამართი, ნ. ჯ.-ს, ზუსტი მისამართი იყო. ამ შემთხვევაში, როდესაც ვერ მოხერხდა მოპასუხეზე გზავნილის ჩაბარება, სასამართლო უფლებამოსილი იყო გამოეტანა განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. შესაბამისად, ყველა ზემოთ მოყვანილი გარემოების გათვალისწინებით, უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.



ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე, 377-ე, 390-ე, 393-ე, 394-ე, 414-ე, 420-ე, 78 -ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. ნ. ჩ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება არ საჩივრდება.

თავმჯდომარე
მოსამართლეები

ქეთევან მესხიშვილი
ნატალია ნაზლაძე
გოდერძი გიორგიშვილი